# ცნობის ფურცელი

VI წ. | ყოველ-დღიური გამოცემა | 1901 | ოთხშაბათი, 16 მაისი | № 1466

...ზეთის დირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ...ლებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.
...ლის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ...ს ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო...კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". ტელეფონი № 372.



# სახალხო სეირნობა
## საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

...ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მიერ განზრახული ...ლხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 20 და 21 მაისს. შემოწირულებათა ...მოგზავნა ამ ბაზრისთვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისასთან, ნი...ოლოზის ქუჩა, № 21, და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზო...ოების" კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

## ტფილისის კერძო
# სამკურნალო
### მიხეილ გედევანიშვილისა.

...მყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დილით:

... ი. ჯიჯიხაძე — კბილის სნეულებანი 8— ... საათამდე.
მიხეილ ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და ...ობს ელექტრონით — 9—10 ს.
... ა მუსხელი — ყურის, ყელის და ცხვირი... 11—12 საათამდე.
... პ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი ...10—12 საათამდე.
... ნ. შატილოვი — თვალისა 11—12 ს.
...ქიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.
... ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და შინა... —12—1 საათამდე.
... გ. ფელდმანი შინაგანი და საბავშვო ...2 ს.
... დ. მარკევიჩი — საღოსტაქრო— 12½ ... საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.
... დ. ბეგთაბეგოვი — სიფილისისა, კანისა და ...რდესი —1½—2 საათამდე.

საღამოთი:

... ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი ...5—6 საათამდე.
... ა. ბელთუღლოვი. — შინაგანი (სტომაქის ...მყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლე... —5—6 საათზე.
... მადალაშვილი — კვირაობით — 10—12 ს.
...სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
...ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპე...აციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ...ეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოთ.
...დრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ...ანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის ...დაპირ). ტელეფონი № 274. (წლ.)

**...ორაპნის მაზრის მარგანეცის მრე...ლთა კრების საბჭო,** თანახმად მარ...ეცის სამრეწველო ჭიათურის საურთი...ო კრედიტის საზოგადოების დამფუძნე...ოთა კერძო კრების დადგენილებისა, ...მელიც მოხდა 1901 წლის 12 მაისს, ...თ აცხადებს, რომ პირველი კრება ხსე...ულ საზოგადოების წევრთა დანიშნუ...ა 1901 წ. 22 მაისს, სამშაბათს, დილის ... საათზე, საბჭოს სადგომში, ქუთაისში.

კრების საგნები:

1) არჩევა კრების თავჯდომარისა.
2) განხილვა და დამტკიცება მომავალ საანგარიშო წლის ხარჯთ-აღრიცხვისა ...
3) არჩევა მოხელეთა:
 ა) გამგეობის წევრთა,
 ბ) საბჭოს წევრთა,
 გ) სარევიზიო კომისიის წევრთა.

(3—1)

...აჭიროა რცხილის, წიფლის და მურყნის

# შეშა

...-დან 400 საჟენამდის; შეიძლება მოი...ოთ სხვა და სხვა დროს, მარიამო...ვიდან მარტამდის. მსურველმა მი...ოოს «Новое Обозрѣніе»-ს რედაქ...ში ო. ო. (4—4)


### ჩვენი მოქმედების სახელმძღვანელო დედა-აზრი

III*)

ჩვენს მდგომარეობაში, როდესაც ჩვენი პიროვნება, ყოველი ჩვენი განსაკუთრებული თვისება და ხასიათი დიდ განსაცდელშია, არ შეიძლება არ მივმართოთ ყოველგვარ საშუალებას, რომელიც კი ცოტად თუ ბევრად ჩვენთვის სასარგებლო გამოდგება და დაგვიფარავს გადაგვარებისაგან. ჩვენა გვაქვს სახეში ქართული ეკლესია და ეროვნების დაცვაში მისი მნიშვნელობა. თავდაპირველად კი საჭიროა ვიცოდეთ, აქვს ნიადაგი ჩვენს მდგომარეობაში იმას, რასაც ევროპაში „კლერიკალიზმს" და მის წინააღმდეგ „ანტიკლერიკალიზმს" უწოდებენ? თავისუფალ მოაზრენი (libres penseurs) იქ, ევროპაში, უარ-ჰყოფენ ეკლესიას და მის დოგმატიურ მოძღვრებას, რადგანაც (კათოლიკეთა) ეკლესიას ჰქონდა იქ დიდი პოლიტიკური ძალა, მას ყოველთვის ჰქონდა სურვილი მფლობელობისა და იგი ყოველთვის გონების და მსჯელობის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყო. ანტიკლერიკალიზმი ძალაა, რომელიც ებრძვის როგორც დოგმატზედ აშენებულ მოძღვრებას. აქვს ამნაირ ბრძოლას ნიადაგი ჩვენს განსაკუთრებულ მდგომარეობაში, თუ არა? რა თვალით უნდა ვუყუროთ ჩვენს ეკლესიას და რა ურთიერთობა უნდა დამყარდეს ამ ჟამად ჩვენ შორის?

წარსულ დროში, მე-XIX საუკუნემდე, ქართულ ეკლესიას ღრმად ეროვნული ხასიათი ჰქონდა. ჩვენი ტაძრები და მონასტრები ხშირად ციხე-ბურჯებად იყვნენ ქცეულნი. დააკვირდით ჩვენს ნაშთებს. თქვენ ვერც ერთ დიდ საყდარს და მონასტერს ვერ ნახავთ, რომელსაც მკვიდრი კედელი არა ჰქონდეს გავლილი, რომლის კუთხეებში არ იყოს აყუდებული კოშკები და ბურჯები მტრის მოსაგერებლად? ეკლესია და მამული მტკიცედ აძლევდნენ მხარს ერთი ერთმანეთს და ამ ჟამად ძნელიც არის განსაზღვრა იმისა, თუ ვისა ჰქონდა უპირატესობა—სახელმწიფოს, მამულს თუ ეკლესიას—იმგვარად იყვნენ ისინი გადაბმულები და შესისხლხორცებულნი ერთი ერთმანეთთან. ჩვენს ეკლესიას ეროვნული ხასიათი ჰქონდა, რადგან ქრისტეს მოძღვრება არღვევს ისტორიულ მსვლელობაში მარტო ქართულ ეკლესიას არა ჰქონდა ამნაირი ხასიათი. ებრაელთა ცხოვრება შესამჩნევ ნიმუშებს წარმოგვიდგენს ამგვარ ზეციერ და მიწის ელემენტების ერთი ერთმანეთთან შერევისა და გადაბმისას. იუდეიზმი—შერევაა რელიგიოზურ აზრისა მამულის სიყვარულში, დაცვაა მამულისა, რჩეულ ხალხისა, ღვთის ხვედრისა. ჩვენი ისტორიული ქრისტიანიზმიც ამ ხასიათისაა. საქართველო, წილი ღვთისმშობლისა, მუდმივ ბრძოლაში იყო ძალმადიანთ წინააღმდეგ. ეკლესია მხარს აძლევს მამულს, წინ უძღვება ღვთისნიერ ჯარს და ღმერთს ევედრება. მას დარჩეს გამარჯვება. ჩვენთვის საყურადღებო ყველა ამაში ის არის, რომ ქართულ ძველ ეკლესიას ეროვნული ხასიათი ჰქონდა და ამ სახით მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ერისადმი. ჩვენ უნდა გვახსოვდეს ეკლესიის საზოგადოებრივი სამსახური. ამ მოსაზრებიდამ გამოირკვევა ჩვენი და ჩვენს ეკლესიის შორის ურთიერთობა და ისიც, რომ ჩვენს დროშიაც ქართულ ეკლესიას შეუძლია ჰქონდეს იგივე საერო ხასიათი ქართულ წირვალოცვის, გალობის, ისტორიის და ეროვნ... ტრადიციის დაცვით. ამისათვის ქართულ ეკლესიის კითხვის გარკვევასაც უნდა ჰქონდეს ადგილი ჩვენს მოქმედების გეგმის შემუშავებაში.

IV

მხოლოდ უპირატესი კითხვა ჩვენის ცხოვრებისა, რაზედაც უმთავრესი ყურადღების მიქცევაა საჭირო, კითხვა, რომლის ჯეროვანი გარკვევიდამ გამომდინარეობს სხვა კითხვების გარკვევაც, ჩვენ ეროვნულ ნიადაგზედ პრაქტიკულ მოქმედების კითხვაა. უწინარეს ყოვლისა იმის გადაწყვეტა და განმარტებაა საჭირო, არის თუ არა ჩვენში ერთა შორისი ბრძოლა? ჩვენი საერთო ინტერესები ეწინააღმდეგებიან თუ არა უცხოელების ინტერესებს? თუ ეს ბრძოლა მართლა არსებობს, მაშინ ადვილია პასუხის მიცემა იმ კითხვაზედ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ ჩვენს პრაქტიკულ მოქმედებაში, ვინაიდგან ამ მოქმედების ხასიათი სულ სხვა უნდა იყოს. თუ ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი დროის პირველი კითხვა ერთა შორის ბრძოლის კითხვაა და არა ეკონომიური, წოდებრივი ან კლასიური ბრძოლა თუ ჩვენთვის ცხადად გამოირკვა ეროვნული და არა ეკონომიური ხასიათი ჩვენი ბრძოლის ნიადაგისა, მაშინ საჭიროა შევიმუშავოთ ერთ პრინციპზედ დამყარებული რთული ეროვნული პროგრამა, საჭიროა გავიგოთ, ან როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ საზოგადოებრივ ასპარეზზედ (თვით მმართველობის კითხვაში), ან ძველ ქართულ ნაშთების დაცვის საქმეში და ან სხვა ტომებთან ეკონომიურ ურთიერთობაში. ლოღიკის წინააღმდეგი იქნება, რა ვსცნობთ და დავსძენთ ჩვენში ეროვნულ ბრძოლის ნიადაგს, ერთ შემთხვევაში მტრის მოგერება ეროვნულის იარაღით, მეორე შემთხვევაში კი ამ იარაღის უარ-ყოფა.

ჩვენ ამ წერილში დაწვრილებით ვერ გამოვარკვევთ ამ კითხვას, მხოლოდ მკითხველს დავეკითხებით, რას ნიშნავს ის გარემოება, რომ ბაქოში, მაგალითად, მრეწველები იმერელ მუშებს აღარ იღებენ და აქ, ტფილისშიაც, ქართველ მუშებს ისტუმრებენ ზოგიერთ ქარხნებიდამ და მათ ადგილზედ გადმოსულებს აყენებენ? ან რა არის თუ არ გამწვავებული ეროვნული ბრძოლა ტფილისის ხმოსანთა არჩევნების კითხვა, რა არის თუ არ თავგასული ეროვნული ბრძოლა ტფილისის ხმოსანთა არჩევნების კითხვა, რა არის თუ არ თავგასული ეროვნული ჯიუტობა ეხლანდელ ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება არჩევნების რიგის შეუცვლელობის კითხვაში?

ნუ თუ ყველა ამნაირი კითხვა მხოლოდ ბურჟუაზიის კითხვაა და არა საერთო საერო კითხვა? თუ ქართველ მუშების აქაურ ქარხნებიდამ გამორიცხვაც ბურჟუაზიული და არა ქართველ მუშის, ჩვენი საერო კითხვა არის? მაშ სხვა ერის ბურჟუაზიის გამეფება მუშათა კეთილ დღეობის კითხვათ ჩაითვლება? თუ ქალაქის არჩევნების წესის შეცვლა იმ რიგათ, რომ დამყარდეს „თანაბრივი წარმომადგენლობა, ბურჟუაზიული კითხვაა და არა საერო, მაშ აწინდელი საარჩევნო წესი, რომლის საშუალებით ქართველები ყოველთვის დამარცხებულნი იქნებიან, რადგან ერთ საარჩევნო ნაწილში სხვებს ყოველთვის ექმნებათ უპირატესობა, ჩვენი. ქართველების, საერთო კეთილდღეობის წესად ჩაითვლება? თუ ქართულ წარწერების წაშლა, ქართულ ისტორიის გადაკეთება და ქართულ ნაშთების სხვათაგან მითვისება მარტო ბურჟუაზიის საქმეა, რატო ერთი სინიდისიერი „დემოკრატი" არ გამოუჩნდათ სხვა ერებს სიმართლის აღსადგენად და ქართველების სამართლიან წყრომის დასაშოშმინებლად? არა, თავი დავანებოთ ამ კლასიფიკაციას. იგი ჩვენში არ გამოდგება. უცხოელ სიტყვიერებას ნუ გამოუდგებით—იგი ჩვენ არას გვეუბნება, არაფერს გვიხსნის. ჩვენ ჩვენი წყლული გვაწუხებს. ეს წყლული ჩვენი ეროვნობის დაჩაგვრაა. ნუ დავაჩაგვრინებთ ჩვენ თავს. სხვის მაყურებელნი ნუ შევიქნებით. თუ ჩვენ თვითონ არ უშველეთ ჩვენ თავს, სხვები, თუ მეტსაც არ გვაზიანებენ, არას გვიშველიან! ასეთია ცხოვრების კანონი, იგი არსებობისათვის გამწვავებული ბრძოლაა. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეებში დაეტყო შედეგი ამ სასტიკი კანონისა. იმიერ საქართველოში, როგორც ამიერში ერთი და იგივე მოვლენას ჰხედავთ. ყველგან ერთი და იგივე ძალმომრეობაა, ჩვენი ეროვნულ პიროვნობის გათახსითება; ჩვენ მეტად გულუპრყვილონი ვართ. კაცობრიობა და მისი ჭირ-ვარამი გვაწუხებს. ჩვენი ცხოვრების უკუღმართობა კი არ გვაღელვებს. შორს ვიყურებით და ფეხ ქვეშ კი ეკლები გვედება და სიარულს გვიშლის...

ყველა ამას საჭიროა ბოლო მოუღოთ, დაუკვირდეთ ჩვენს ცხოვრებას და თუ „კაცობრიობა" მართლა გვაწუხებს, ვემსახუროთ მას ჩვენი ხალხის საშუალებით. ჩვენ აღვნიშნეთ ოთხი უმთავრესი მოვლენა ჩვენის ცხოვრებისა და ვსთქვით, რომ მათი ჯეროვანი განმარტება ჩვენი ეროვნული პროგრამის განმარტებად ჩაითვლება; ასე რომ ჩვენი ეროვნული პროგრამის შინაარსს შემდეგი კითხვები შეიცავენ: 1) საჭიროება ენის დაცვისა, 2) ლიტერატურის და ხელოვნების საშუალებით ეროვნულ იდეალების შემუშავება და ეროვნულ გრძნობების ხალხში გაღვიძება, 3) ქართულ ეკლესიის დაცვით ძველ ტრადიციის განმარტება ხალხში (მამულისათვის თავდადება) და 4) ეროვნულ ნიადაგზე, არსებულ საზოგადოებრივ და ეკონომიურ ბრძოლის მიხედვით, ეროვნული პრინციპით ხელმძღვანელობა თვით მმართველობის საარჩევნოებში და მრეწველობა-მეურნეობის კითხვებში.

**არჩილ ჯორჯაძე**

*) იხ. „ცნ. ფურც." № 1463.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

14 მაისი.

**კოვნა.** დიდის ამბით გადაიტანეს პოჟაისკის მონასტრიდან კოვნაში ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც ერთნაირად თაყვანსა სცემენ მართლმადიდებელნიც და კათოლიკენიც.

**შეცდომის გასწორება.** გუშინ პეტერბურგიდან გამოგზავნილს სალამოს დეპეშაში ჰავრიდან შემდეგი შეცდომაა: უკანასკნელ სტრიქონში ნათქვამია:.. „რაღაც ესროლა ვალდეკ-რუსსოს, მაგრამ ააცილა“. უნდა იყოს:... „ესროლა ვალდეკ-რუსსოს ფოროხალი, მაგრამ ააცილა“.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**ინგლისი.** გაზ. «მატენ»-ის ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ამ ბოლო დროს უფრო გამოირკვა, თუ რის თაობაზე მოსდით უთანხმოება სამინისტროს წევრებსა:

«მინისტრები ორ ჯგუფად არიან გაყოფილნი. ამათი უთანხმოების მიზეზი არის სამხრეთ-აფრიკის ომი. მაგრამ ეს უთანხმოება არც ისე დიდია, როგორც ზოგნი აზვიადებენ. ყველა მინისტრები თანხმანი არიან, რომ ომი აუცილებელი იყო და რომ ბურების ორივე რესპუბლიკის პოლიტიკური დამოუკიდებლობა მთლად უნდა მოისპოს; ამ საგნის თაობაზე მინისტრებ შუა სრული თანხმობა ჰსუფევს. უთანხმოება მოსდით მხოლოდ იმის თაობაზე, თუ რა საშუალება მოიხმარონ ომის მალე გასათავებლად და ზავის შესაკვრელად. ის გზება, რომელიც ამ გაჭიანურებულს ომს მოაქვს ინგლისისათვის, ყველაზე ცხადად და ცოცხლად წარმოდგენილი აქვთ სამს მინისტრს: ფინანსების მინისტრს გიქს-ბიჩს, გარეშე საქმეთა მინისტრს ლანსდოუნს და ვაჭრობის მინისტრად ნამყოფს რიტჩის. დამოუკიდებლობის გარდა, ყველა სხვა საკითხებში, მაგალითად ენებისა, ტრანსვაალის სახელმწიფო ვალისა, ფერმების აშენებისა, დასრულდ თითქმის ყველა მეორე ხარისხოვან საკითხებში, რომლებიც კიტჩენერსა და ბოტას შუა მოლაპარაკების დროს აღიძრა,—ეს მინისტრები მზად არიან ბევრი რამ დაუთმონ ბურებს. მეორე ჯგუფს, რომლის მეთაურად ჩემბერლენია და რომელსაც ეკუთვნიან დევონშირის ჰერცოგი და ჯონ ცინდგეგი, რისამე დათმობა გასაგონად ეჯავრება. ამ აზრების სხვადა-სხვაობამ უკვე თავი იჩინა იმ ორ საზავო პროექტში, რომელიც კიტჩენერმა შეადგინა. პირველ ამათგანში, 2 მარტს (ახ. სტ.) დაწერილში, ნათქვამი იყო, რომ ყველა ტყვე ბურებს ნება მიეცემათ სამშობლოში დაბრუნდნენო, ყველა სკოლებში ჰოლანდიურსა და ინგლისურ ენას თანასწორად ასწავლიანო, რომ ინგლისი ტრანსვაალის ყველა სახელმწიფო ვალებს გადაიხდისო, და ყველა ის ფერმები, რომლებიც სამხრეთ-აფრიკაში ომის განმავლობაში დასწვეს, აღდგენილ იქმნებაო. ყველა ეს ჩემბერლენმა ან შესცვალა, ან სულ ამოშალა და მეორე პროექტში, რომელიც კიტჩენერმა 20 მარტს შეადგინა, ამ პირობების ხსენებაც აღარ იყო. იმ მცირე შეღავათებსაც კი, რომლებიც მასში იყო აღთქმული, იმპერიალისტური გაზეთები მტრობით მიეგებნენ. 2 მარტს დაწერილ პროექტში «გიქს-ბიჩის მიმართულება» გამოიხატა, ხოლო 20 მარტს დაწერილში,—«ჩემბერლენის მიმართულება», ცოტაოდნად შეცვლილი გიქს-ბიჩის შეხედულების დაგვარად. ამბობენ, რომ მალე გამოჩნდება, თუ რა ძალა აქვთ ამ ორივე მიმართულებას: ეს გამოჩნდება იმ ინსტრუქციებიდან, რომლებიც ბ-ნ აღფრედ მილნერს მიეცემა სამხრეთ აფრიკაში დაბრუნების დროსაო.

— 4 მაისს დეპუტატთა პალატა ბალფურის სიტყვის შემდეგ შეუდგა გენჩის ურას და მთავრობის პროექტი ჯარის რეორგანიზაციის შესახებ მიიღო 305 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 163-ისა.

— 9 მაისს, დეპუტატთა პალატაში ირლანდიელებმა წინადადება შეიტანეს, რომ სკოლებში ირლანდიელი ენის სწავლება შემოიღონ ირლანდიის სკოლებშიო; თუმცა უნიონისტებმა წინააღმდეგ ილაპარაკეს, მაგრამ ირლანდიის საქმეთა მინისტრმა უინდგემმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ირლანდიელი ენის ვალდებული სწავლება სასარგებლო იქმნება იმ ადგილებში, სადაც ამ ენაზე ლაპარაკობს ხალხიო, ხოლო არც ის იქნება ურიგო, რომ მთელ ირლანდიაშიაც ნება ჰქონდეთ ამ ენის სწავლებისაო, ხოლო ვალდებული კი არ იყოსო. ირლანდიელების წინადადება პალატამ მიიღო. ბევრს ინგლისელს ეშინიან, რომ ამას იქით ირლანდიელები უფრო ეცდებიან თავიანთ კულტურა შექმნან და პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვონო. ირლანდიის საქმეთა მინისტრი მეტად ჭკვიანურად მოიქცა, მით რომ ამ საკითხს უმაღლესი სახელმწიფო საკითხის მნიშვნელობა არ მისცა. უოველ შემთხვევაში ირლანდიის ერმა ბევრი მოიგო ამ ახალის კანონის გამოცემით.

**ბელგია.** «ფრანკფურტერ ცაიტუნგ»-ის კორესპონდენტი იწერება ბრიუსელიდან, რომ ბელგიაში ქალების ახალი მოძრაობა დაიწყოო. ამ მოძრაობას საგნად აქვს—საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-340 მუხლი გააუქმებინოს. ეს კაცთმოყვარეობის წინააღმდეგი მუხლი ამნაირია: «უკანონო შვილს უფლება არა აქვს იძიოს თავის მამისაგან კანონიერ შვილად აყვანაა». ეს კანონი შემოღებულია ნაპოლეონ I-ის მიერ მისი ჯარის კაცების სასარგებლოდ და ბელგიაში დღემდე მტკიცედ სრულდება. კორესპონდენტის სიტყვით, ბელგიაში ქალს [illegible]ვითარი უფლება არა აქვს; მას ზრდილობიანად, თავაზიანად ექცევიან, მაგრამ არავითარ პატივს არა სცემენ და მის ინტერესებს უოველნაირად ზღუდავენ. ქალს აქვს ზოგიერთი უპირატესობა, მაგრამ არავითარი უფლება არა აქვს, ნამეტნავად არა აქვს თავისუფლება, არც მცირე და არც მნიშვნელოვან საქმეებში. ამის გამო «ქალის უფლებათა საზოგადოება» და «ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესობის ბელგიური საზოგადოება» ცდილობენ, რომ ხსენებული კანონი გაუქმებულ იქმნეს; ისინი ჰფიქრობენ, რომ ამით ქალების ბედიც გაუმჯობესებული იქმნება და საზოგადოდ ხალხის ზნეობრივი და სოციალური განვითარებაც წინ წაიწევსო. დამსახურებული პროფესორი, მეცნიერი დენისი ამ საგნის თაობაზე მოხსენებას დასწერს, რომელიც მთავრობას წარედგინება.

**ავსტრია.** ავსტრიის ოფიციალურ სამხედრო გაზეთში გამოცხადებულია 43 გენერლის აზრები ჯარის კაცთა ორი წლის სამსახურის შესახებ. ყველა ეს გენერლები იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ ამისთანა რეფორმის შემოღება ძალიან სასარგებლო იქნება ავსტრიის ჯარისათვისაო.

**საფრანგეთი.** გაზეთ «ნეუ ფრეიე პრესა»-ის სიტყვით, ამ უკანასკნელ კვირა დღეს, ქალ. ნიცცაში 2000 ნოქარმა (პრიკაშჩიკმა) მანიფესტაცია გამართეს: ისინი მთელი ერთი საათი იდგნენ იმ მაღაზიებ წინ, რომლებიც არ იყო დაკეტილი და ყვიროდნენ: «დაკეტეთ, დაკეტეთო!» პოლიცია და ქალაქის თავი გაერივნენ საქმეში და მანიფესტანტების მხარე დაიჭირეს. ამათ ურჩიეს მაღაზიის პატრონებს, რომ მაღაზიები დაეკეტათ და ვაჭრობა მოესპოთ. ბოლოს და ბოლოს მაღაზიის პატრონები იძულებულნი იყვნენ მანიფესტანტების სურვილი შეესრულებინათ. ამ დროს იმდენა გარეშე მაყურებელი ხალხი შეგროვდა, რომ მთელი დიდი განიერი ქუჩა სულ მთლად გაჭედილი იყო.

**ესპანია.** მუშების გაფიცვას და არეულობას ბოლო აღარა აქვს. ბარსელონის შემდეგ, ქალ. სევილიაშიაც მომხდარა არეულობა. «ფრანკ. ცაიტ.»-ს სწერენ მადრიდიდან:

«სევილიაში რამდენიმე ათასი მუშა იქნება, რომლებიც ქალაქის მიდამოების ბაღებში და ბოსტნებში ჰმუშაობენ. ამას წინად ამათ სამუშაო ქირის მომატება მოითხოვეს, და რადგანაც საქმის პატრონებმა უარი უთხრეს, ამიტომ მუშებმა მუშაობა აჰკვეთეს. უკანასკნელ კვირა დღეს გაფიცულმა მუშებმა მეტად შფოთიანი მანიფესტაცია გამართეს წინააღმდეგ ბაღებისა და ბოსტნების პატრონებისა. პოლიციამ მოთავეები დაატუსაღა, მაგრამ იმათი ამხანაგები თავს დაეცნენ პოლიციელებს. დაიბარეს ჟანდარმები და ამათაც რის წვალებით ციხეში წაიყვანეს მუშები. ყველგან გზა-და-გზა ხალხი ქვებს ესროდა ჟანდარმებს. ერთ წამს ხალხმა თითქმის აჯობა ჟანდარმებს, ხოლო ამათ იშიშვლეს ხმლები და ყველას მოურიდებლივ კაფვა დაუწყეს. რამდენიმე კაცი მოკლეს, დაჭრილი ხომ ბევრია».

**ამერიკის შეერთებული შტატები** ქალ. ალბანიში ტრამვაის მოსამსახურეებმა გაფიცვა მოახდინეს, იქ ჯარი გაგზავნეს ხალხის დასამშვიდებლად, მაგრამ მუშა ხალხი უფრო და უფრო ირევა. გაზ. «პარი ნუველ»-ის კორესპონდენტის სიტყვით, ბრუკლინიდან გამოგზავნილი მე-23 პოლკის მოსვლამ სულ უკიდურესობამდე აადელა მუშები: როცა ის მუშები, რომლებმაც გაფიცვაში მონაწილეობა არ მიიღეს, ტრამვაიზე სამუშაოდ მივიდნენ, გაფიცულმა მუშებმა თოფები ესროლეს, რამდენიმე კაცი დასჭრეს კიდეც. ესენი საავადმყოფოში გაიგზავნენ. ჯარმა ერთბაშათ თოფი დაუშინა გაფიცულ მუშებს და ბევრი დასჭრა. ალბანიში 2,200 ჯარის კაცი იმყოფება. ტრამვაის მუშაობა მთლად შეწყვეტილია. ეშინიანთ, რომ არეულობა უფრო არ გაძლიერდეს, როცა ტრამვაის საზოგადოება ვაგონებს გამოუშვებს სამუშაოდაო. თუ საჭირო იქნება, ნიუ-იორკიდან მესამე პოლკიც მოვა. ქ. ტრუაშიაც მოახდინეს მუშებმა გაფიცვა. ამბობენ, რომ იქ ნიუ-იორკის მეშვიდე პოლკი გაიგზავნებაო.

**გერმანია.** გერმანიაში კვირაობით ნოქრების შესვენება სავალდებულოდ გახადეს; ნოქრები ამ მხრივ მუშებზე უფრო შეწუხებულები იყვნენ. ამათზე კიდევ უფრო დატანჯული და წამებულები ფოსტის დამტარებლები (ფოსტალიონები) იყვნენ, ხოლო ეხლა ამათი მდგომარეობაც გაუმჯობესდა. ეხლახან გამოცხადებული ცნობების მიხედვით 78,671 ფოსტის დამტარებლთაგან 30 ათას კაცს თვეში ორი კვირა დღე არ უმუშავნია, ხოლო დანარჩენ უქმეებში უმუშავნიათ დილის 7 საათიდან—10-მდე, ანუ სალამოს 5 საათიდან 10-მდე. წიგნების დატარება კვირაობით დილის 10 საათზე თავდება და საზოგადოებას სულაც არა სწყინს ეს გარემოება, თუმცა გერმანელები უფრო რიგზე არიან დაჩვეულნი წერილების მიღებას, ვიდრე, მაგალითად, რუსები. არის ხოლმე, რასაკვირველია, ისეთი შემთხვევა, როცა კვირაობით საჭირო ხდება წერილების გაგზავნა, მაგრამ აქაც გერმანელებმა აი რა ხერხი მოიგონეს: თქვენ შეგიძლიანთ კვირა-უქმეობითაც გაჰგზავნოთ წერილი, მხოლოდ მეტ ფასიანი მარკა უნდა დააკრათ წერილს, 10 ფენინგის მაგიერ თქვენ იხდით 35-ს და, რასაკვირველია, ანგარიშიანი ხალხი ტყუილად ფულს არ გაიმეტებს; ხოლო ამ წესს ის მოსდევს შედეგად, რომ ხუთი მორიგი მოხელის ნაცვლად, ფოსტაში კვირა-უქმეობით მარტო 1 მორიგეობს და 4 ფოსტის დამტარებელში კვირაობით ერთი მუშაობს და 3 ისვენებს. ბელგიაში დიდძალი ხალხი წერილებს ისეთ მარკას აკრავს, რომელსაც აწერია: «კვირაობით არ ჩაჰბარდეს»; ამისთანა წერილებს ორშაბათობით აბარებენ.

«დროა ვიფიქროთ ჩვენ უბედურ ფოსტის დამტარებლებზედაცაო,—ამბობს ერთი რუსული გაზეთი,—რადგანაც იმათ სრულებით არა აქვთ კვირაობით მოსვენებაო; ჩვენი ფოსტისთანა უწეს-რიგოდ მოწყობილი ფოსტა მთელს ევროპაში არ არის, ხოლო ფოსტის მოსამსახურეები კი არც ერთ ქვეყანაში არა მუშაობენ იმდენს და ისე არ არიან შეწუხებულნი, როგორც ჩვენშიო».

# ახალი ამბავი

✦ როგორც შევიტყეთ, საგუბერნიო მთავრობას მიუნდვია გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მოხელის ბ-ნ ლუცენკოსა და გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრის ბ-ნ ტებენკოვისათვის მოქალაქეთა გამგეობისა და მოქალაქეთა მოურავის ედიგაროვის მოქმედების რევიზიის მოხდენა. მთავრობისაგან რევიზია გამოუწვევია გამგეობის საქმის მწარმოებლის ბ-ნ ჰილაევის მიერ საგუბერნიო სამმართველოში შეტანილ განცხადებას, რომელშიაც ანუსხულია ბ-ნ ედიგაროვისაგან ჩადენილი ბოროტ-მოქმედებანი თვის სამსახურის დ[...] 1893 წლიდან.

✦ სასახლის სარჯის კომისია [...] თავა მოლაპარაკება [...] სახლისათვის საჭირო ადგილის შეძენის სახებ. კომისია ჰყიდულობს მადერის[...] 500 კვ. ს. მიწას კიროჩნისა და ველი[...]კნიაჟესკის ქუჩების კუთხესთან.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მ[...]ლენი 20 მაისს სადილს უმართავენ ოლ[...] მზრუნველად ნამყოფს ბ. იანოვსკის.

✦ როდესაც კავალერიის გენერალი თ[...] ი. გ. ამილახვარი სამსახურიდან გამოვ[...] კავკასიის სამხედრო კორპუსის მსახ[...] განიზრახეს თავისი ულრმესი პატივის[...] გამოუცხადონ დიდათ დამსახურებულს თ[...] ივანე გივისძეს. ამ განზრახვის განხორ[...]ლებისათვის შესდგა განსაკუთრებული [...]მიტეტი, რომელმაც გადასწყვიტა კორპ[...] მაგიერ მიართვას თავ. ამილახვარს მ[...] ვერცხლის ანდრიანტი მარმარილოს სა[...]კველზე. „პეტერბ. ვედომ“-ს სიტყვით, ანდრიანტი ამ ჟამად უკვე მზად არის. [...]ნე გივისძე გამოქანდაკებულია ცხე[...] მჯდომარე, სერთუკში, წმ. გიორგის ო[...] ორდენით. მარმარილოზე გამოსახულია [...]ლახვრების საგვარეულო ღერბი და [...] უწერია: „ივანე გივის ძეს ამილახვარს, [...]კასიის სამხედრო კორპუსის უფროს[...] სახსოვრად (1893—1897 წ.წ.) თანამსახ[...]თაგან“.

✦ 9 მაისს, როგორც გადმოგვცემს [...]ტერბ. ვედომ“, წმ. გიორგის სახელო[...] დაარსებულ საზოგადოებას საიუბილეო დ[...] სასწაული გაუმართავს თავ. იგანე ალექ[...]დრეს მის ნაკაშმისათვის; საზოგადო[...] დაწესებულებაში გადახდილ იქმნა პარაკლ[...] რომელსაც დაესწრენ ყველა წევრები დ[...] მოწყალებისა, ექიმები და სხვა თანამშ[...]მელნი და თანამგრძნობელნი იუბილარ[...] დამსწრეთა შორის იყვნენ წმიდა გიორ[...] საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე [...]სოლსკაია, გრაფ. გეიდენ, შერემეტიევ[...] ფინანსის მინისტრის თანაშემწე კოკოვც[...] რამდენიმე პროფესორი და სხვ. პარაკ[...]სის შემდეგ იუბილეარმა საერთო ზალ[...] მიიღო მიმლოცველები და დეპეშები.

✦ საუფლისწულო მამულების სამ[...]თველოს უფროსი თ. კოჩუბეი გუშინ-[...] 13 მაისს, წავიდა კასპში საუფლისწუ[...] მამულების დასათვალიერებლად. აქე[...] ბ. კოჩუბეი წავა ჩაქვში (ბათუმთან) [...] პლანტაციების სანახავად.

✦ სამხედრო ბეგრის საქალაქო სა[...]ბული ამ ჟამად ირკვევს იმას, თუ ვის [...] შეღავათის უფლება აქვს იმ პირთა [...]რის, რომელნიც მიმდინარე წლის შე[...] გომაზედ მოწვეულნი იქმნებიან სამხე[...] ბეგრის მოსახდელად. კომისიამ უნდა გა[...]ვოს საქმის გამორკვევა მაისის 20-მდე.

✦ ტფილისში არსდება „აქციონერ[...] ამხანაგობა წიგნების გაჭრობისა და გ[...]ცემისა“. ამხანაგობის ძირითად თან[...] უნდა ექნეს 30,000 მ., გაყოფილი [...] პაით; თითო პაი ღირება—50 მ

✦ პეტერბურგში არსდება უმაღლესი კომერციო კურსები, რომლებზედაც ს[...]ლება ორს წელიწადს გაგრძელდება. კ[...]სებზე მიიღებენ საკომერციო სასწავლებ[...] კურს—დამთავრებულთ. უმაღლეს კურს[...] გათავებულთ ნება მიეცემათ საკომერ[...] სასწავლებელში ასწავლონ სხვა და სხვა [...] კომერციო საგნები.

✦ დღეს, 16 მაისს, კავკასიის სამე[...]ნეო საზოგადოების სადგომში სხდომა [...] ნება ზოგიერთ მიმდინარე საქმეების [...] სახილველად კავკასიის გამოფენის გ[...] კომიტეტს. სხდომა სალამოს 8 საათ[...] დაიწყება.

✦ ბელგიის უსახელო საზოგადო[...] სახელით საზოგადოების დირექტორმა ბ[...]რობიმ კავკასიის გამოფენის მოსაწყო[...] გამოფენის მომწყობელ კომიტეტს მ[...]ლოდ 300 მან. შესწირა. ამავე საზოგა[...]ებამ 1889 წელს კავკასიის გამოფ[...] 1000 მან. შეჩწირა, მაგრამ ეს ფული 1[...]

...ში დანიშნულ გამოფენისათვის, სა...ლოებამ დაუთმო ტფილისის ქა...ის გამგეობას სულ სხვა საქმისათვის, რა... 1887-ში განზრახული გამოფენა 1889-...ის გადაიდო.

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ ქართულ ...მატიულ საზოგადოების წევრთა კრე...ბაი იმნიშნება ამ თვის ბოლო რიცხვებ...

✦ როგორც შევიტყვეთ, ტფილისის გუ...ნატორი ბ. სვეჩინი 2 თვის ვადით საზ...რ-გარეთ მიდის.

✦ მოსკოვის უნივერსიტეტთან დაარსე...ბა ბუნების მეტყველებისა, ანტროპო...გიისა და ეტნოგრაფიის მოყვარულთა... შემდგარ საიმპერატორო საზოგადოებას დაუწყვეტია გამოუგზავნოს კავკასიის ...ურნეო სამრეწველო გამოფენის მომ...ბელ კამიტეტს საუკეთესო ექსპონატე...ბატრონთა დასაჯილდოებლად დიპ...მები ერთი დიდი და 2 პატარა ვეც...სა და 3 ბრინჯაოს მედლის მისაღე...

✦ ამ დღეებში ცხენების მოშენების წა...ხებელ საზოგადოების კავკასიის კორე...ნდენტმა შეატყობინა კავკასიის სამეუ...ო საზოგადოებას, რომ წელს ალნიშ...ის საზოგადოებისაგან დანიშნული გა...ჯენა ცხენებისა ტფილისში გადაიდვა ...ოდგომამდე და უნდა შეუერთდეს კავ...ის სამეურნეო სამრეწველო გამოფენას; ...რომ გთხოვთ ადგილი დაგვითმოთ—გა...ვენაზედ საკუთარი პავილიონი და ცხე...სადგომი გავმართოთო. ამ პავილიო...მოწყობის საქმე მიენდო პოდპოლკოვ...ს ვ. ა. ბერგს. ამასთანავე ბ-ნი კორეს...დენტი ატყობინებს სამეურნეო საზო...ოების საბჭოს, რომ ხსენებულმა საზო...ოებამ საუკეთესო ჯიშის ცხენის წარ...გენისათვის დანიშნა საჩუქრად 500 მ., ...რინჯაოს მედალი და 5 ქების ფურ...ლი.

✦ ქუთაისიდან გვწერენ, რომ ის ხმა, ...ომც განზრახული იყოს ქუთაისის გუ...ნიის მომრიგებელ შუამავალთა კრების ...ვევა, სრულიად სიმართლეს მოკლებუ...

✦ რკინის გზის ჟანდარმების მიერ ...ლული (12 მაისს, შუაღამის 2 საათ...) ერთი ბოროტგანმზრახველთაგანი ალ...ნდა ტფილისის მცხოვრები იოსებ საჭი...ილი, რომელსაც დიდიხანია დაუტო...ა დედ-მამის სახლი და რომელიც პოლი...საგან შემჩნეული იყო, როგორც ქურდი. ...იციამ მიაგნო ბოროტ-განმზრახველე...ქვალს; ერთი მათგანი უკვე შეიპყრეს ...მეტეხის ციხეში ჩასვეს.

✦ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ...წინად ქალაქის სასწავლებელთა გამგე...ისიაში აღიძრა საკითხი საშეძაგოგიო ...ეუმის დაარსების შესახებ. ამ კომისიის ...ურობით მოწვეულია დღეს კრება სა...აქო სკოლების გამგეთა. კრება საღა... 8 საათზე დაიწყება.

✦ ტფილისის საქალაქო სკოლების გამ... უკვე წარუდგინეს ქალაქის სკოლების ...ე კომისიას თავ-თავიათ სკოლების ...ეთ-აღრიცხვა მომავალ წლისა.

✦ ტფილისის ქალაქის ტეხნიკს კოჩა...ვსკის მინდობილი ჰქონდა შეედგინა გე...მუშტაიდისა და საბალოსნო სკოლას ...განზრახულ ქუჩისა. გეგმის შესადგე...კოჩაროვსკის დასჭირდა ადგილობ... მუშტაიდის ბაღში ემუშავნა, მაგრამ ...გამოუჩნდა მოულოდნელი ხელის შემ...ლი სააბრეშუმო სადგურის გამგე ბ. ...ოვი. მიუხედავად იმისა, რომ კოჩა...კიმ უჩვენა შავროვს ქალაქის თვით...ველობის ქაღალდი, შავროვმა ნე... არ მისცა მას მუშაობისა და მეტად ...ლეთ გამოაძევა იგი ბაღიდან. ეხლა ...ბული ტეხნიკი ეკითხება ქალაქის გამ...ას, ჩაერევა თუ არა იგი ქალაქის თვით...ველობის მოხელის სამსახურის დროს შეურაცხყოფის საქმეში, თუ მან თვითონ მიჰმართოს მომრიგებელ მოსამართლეს.

✦ რადგან **ნავთლუღის სამრევლო სკოლაში** სწავლის საქმე ცუდად მიდის და სათანადო უწყებას არ აქვს საშუალება ამ საქმისათვის, ხსენებული სკოლა დაიხურება.

✦ 29 მაისს ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის დეპარტამენტში განსახილველად დანიშნულია სხვათა შორის ერთი საყურადღებო საქმე შორაპნის მაზრის დაბა საჩხერის ნაწილის ბოქაულად ნამყოფის ბ-ნ ფიცხელაურისა, რომელსაც ბრალად ედება დაბა საჩხერის მცხოვრების აწ გარდაცვალებულის დურგლის მაისურაძის **გალახვა და ცრუდ ოქმის** შედგენა. ბრალდებულს ფიცხალაურს დაიცავს ნაფიცი ვექილის თანაშემწე თავ. ი. ბარათაშვილი.

✦ წასულ კვირაში ტფილისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ განიხილა ერთი **საყურადღებო** საქმე ქუთაისის გუბერნიის სოფ. ზეინდარის მცხოვრების თავ. ასლან როსტომის ძის ერისთავისა, რომელიც თხოულობდა, რომ მისი ცოლი კნეინა ეკატერინე ერისთავისა კანონის ძალით ქმრის სახლში დაებრუნებინათ. თურმე ეკატერინე ერისთავისა დღიდგან ჯვარის წერისა გაჰყოლია სხვას და ქმარს კი ამ 4—5 წლის განმავლობაში ამაზე არასფერი არ განუცხადებია; სასამართლოში მოპასუხის ეკატერინეს ინტერესებს იცავდა ნაფ. ვექილის თანაშემწე სპანდარიანი. სასამართლოში საქმის გარემოების გამოსარკვევად ეკითხა მოწამეს ისარლოვს. ჩვენებიდანაც გამოირკვა, რომ ერისთავმა თურმე წინდა წინვე იცოდა, რომ მისი ცოლი ჯვარის წერიდგანვე მასთან არ იცხოვრებდა. ვექილმა სპანდარიანმა ითხოვა უარი ეყოთ თავ. ასლან ერისთავისათვის, რადგანაც მოწმის ჩვენებით მტკიცდება, რომ ერისთავმა იცოდა, რომ მისი ცოლი მასთან არ იცხოვრებდა. ოლქის სასამართლომ უარი განუცხადა ერისთავს მის სჩივარზე.

✦ ქიზიყიდან გვწერენ; „ხანგრძლივ გვალვისაგან დამწვარი მოსავალი, რომელსაც კი გამოსაბრუნებელი პირი უჩანდა, ცოტათი გამობრუნდა გამუდმებულ წვიმებზე, ასე რომ დღიურზე კოდიდან (3 ფუტია) სამ-ოთხ კოდამდის მოუვათ. წარსულ წელთან შედარებით სულადის ფასმა ერთი ორად აიწია, კოდი ხორბალი ოთხ მანეთამდის ფასობს ამ ჟამად. უბალახობისაგან მიხრწნეული ოთხფეხი საქონელი გამოაცოცხლა გულუხვად მოსულმა ბალახმა.

შეწამვლას ვენახებისას, რომელსაც ჯერ-ჯერობით კაი პირი უჩანს, ხელს უშლის დაჟინებული წვიმა. აპრილის 12-დან მაისის 11-მდე ოთხჯერ მოვიდა სეტყვა ქიზიყის სხვა და სხვა კუთხეში“.

✦ გუშინ საღამოს ქალაქის საბჭომ, სხვათა შორის, განიხილა **ინჟენერების ბრაილოვსკისა და ხატისოვის პროექტი** სოლოლაკის გვირაბის გაყვანისა და შემდეგ აბანოებამდე ელექტრონის ტრამვაის გაკეთების შესახებ; საბჭომ კომისიას მიანდო კონცესიის დაწვრილებით პირობების შედგენა და ამ პირობების საბჭოსთვის წარმოდგენა 11 ივნისამდე. კომისიაში აირჩიეს 10 კაცი: ა. ლ. წურინოვი (24 ხმით წინააღმდეგ 5-სა), ნ. ნ. ოსტროგორსკი (32—2), ა. ს. ბაბოვი (24—10), ი. ს. ალიხანოვი (30—4), თ. ი. კარაპეტოვი (24—10), კ. მ. ალიხანოვი (32—2), ა. კიუჩარიანცი (24—10), ი. ო. ანანოვი (32—2), ბ. ბილფელდი (23—9) და თავ. ა. ი. ბებუთოვი (28—5).

✦ პოლიციის მე-6 ნაწილში ვორონცოვის ქუჩაზედ ორშაბათს, 14 მაისს, ისმაილ-ოღლის ყავახანაში ჩხუბის დროს ტფილისის მცხოვრებს მიქაელ-ალაპკერ-ოღლის დანით დაუჭრია ორგან მარჯვენა გვერდში სპარსეთის ქვეშევრდომი კარაპეტა მხითაროვი, რომელიც სამკურნალო შემწეობის აღმოსაჩენად მიხეილის საკმურნალოში გაუგზავნიათ. დამნაშავე შეიპყრეს.

✦ ავლაბრის მცხოვრებელი კარაპეტა გიორგის ძე გამელოვი სიმთვრალის დროს შაბათს, 11 მაისს ღამის 10 საათზედ, მიდიოდა თურმე მიხეილის ქუჩაზედ; აქ მას წამოსწევია ტრამვაის ვაგონი და ქვეშ მოუტანია. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

✦ 2 მაისს პოლიციის მე-5 ნაწილში ოქრომჭედლების ქუჩაზედ მცხოვრებ ც. ლ. ლევინთან მისულა ერთი უცნობი კაცი, თან მიუყვანია პატარა ბავშვი და უკითხავს მოსამსახურედ ხომ არ დაიყენებდნენ. ლევინს მართლაც სდომებია ბიჭი და წაუყვანია ბავშვი სამზარეულოში—ეჩვენებინა მისთვის, თუ რა ექმნებოდა მას გასაკეთებელი, ხოლო მისი მიმყვანი დაუტოვებია სასტუმრო ოთახში; აქ ამ უკანასკნელს წაუღია სტოლზედ დატოვებული 6 მან. და ბავშვი დაბრუნებისათანავე გამოუტაცნია და სადღაც მიმალულა. 12 მაისს აღნიშნული ქურდი უკვე დააპატიმრეს პოლიციის მე-4 ნაწილში; ქურდი აღმოჩენილა გუმბრის მაზრის მცხოვრები ტიგრონ გეორქას ძე საფარიანცი.

✦ გორიდან გვწერენ 14 მაისს: რკინის-გზის ლიანდაგიდან სადგურზე მოიყვანეს ხიდისთავის მცხოვრები ახალგაზდა გიორგი ლეხესაშვილი, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, მატარებელზედ შეხტომის დროს გადავარდნილა და დაშავებულა.

✦ ს. ქურდამირი: 14 მაისს, როდესაც საქონლის მატარებელი № 188 დაიძრა სადგურიდან, არტელის მუშა ზურაბ ბულიაშვილს ვაგონის საფეხური წამოედო და ვაგონს ქვეშ მოჰყვა; თვლებმა ორივე ფეხები მოამტვრიეს და დაშავებული ორი საათის შემდეგ გარდაიცვალა.

✦ გორი. 13 მაისს მე-221 ვერსზე მატარებელი № 20-იდან ჩამოვარდა სოფელ ხიდისთავის მცხოვრები 13 წლის ბიჭი გიორგი ლაზარაშვილი; დაშავებული ტფილისის რკინის-გზის საავადმყოფოში გამოგზავნეს, მაგრამ გზაში გარდაიცვალა.

---

# პრესსა

არის რუსეთში ერთი ახირებული ისტორიკოს-პედაგოგი ილოვაისკი, რომელსაც ეკუთვნის მრავალი „სახელგაკეთებული და მოწონებული“ სახელმძღვანელოები. ეს ბატონი გაჩუმებულია; მაგრამ როდესაც, „ნოვ. ვრემია“-ს სიტყვით, რუსეთში საგანგებო მომენტები და საკითხები გაჩნდება, ილოვაისკი არღვევს მდუმარებას და იწყებს გაშმაგებულ პოლემიკას. ამგვარ „საგანგებო მომენტებად“ ის სთვლის თურმე იმას, თუ ვინმემ გაბედა და მის სახელმძღვანელოებსა და ნაწერებს კრიტიკულად შეეხო! ვაი იმის ბრალი მაშინ! ილოვაისკი სჭექს და გრგვინავს, როგორ თუ გაბედეთ ამგვარი რამეო! „საგანგებო მომენტი“ ამ ჟამადაც გასჩენია ილოვაისკის. ხსენებულ გაზეთის სიტყვით,

ისტორიკოს-სპეციალისტებმა, საერო განათლების სამინისტროს მინდობილობით, გაარჩიეს ილოვაისკის სახელმძღვანელოები და დაამტკიცეს მათი სისუსტე. ილოვაისკი ამ გარემოებამ ააპილპილა და გამოალაშქრა არა მარტო სპეციალისტების წინააღმდეგ, არამედ იმ გაზეთების წინააღმდეგაც, რომელთაც გაჰბედეს და სპეციალისტების აზრი გადაბეჭდეს. ილოვაისკის თუ დავუჯერეთ, ყველა პროფესსორები და გაზეთები მისი პირადი მტერნი ყოფილან... ყველა, ვისაც არ მოსწონს ილოვასკის სახელმძღვანელო, ამასთანავე სამშობლოს მტერიც ყოფილა! ახირებულია, მეტი რომ არა ვთქვათ, ამგვარი პოლემიკა. მის მაგიერ, რომ არსებითად უპასუხოს თავის რეცენზენტებსა და კრიტიკოსებს, ილოვაისკი ყველას უკიჟინებს სამშობლოს ღალატსო.

დიახ, მეტად ახირებული კრიტიკა-პოლემიკა ჰყვარებია ბაილოვაისკს, რომლის მზგავსი, სამწუხაროდ, მრავალია დედამიწის ზურგზე!...

* * *

მაისში, როგორც მკითხველებმა იციან დეპეშებიდან, შესრულდა 100 წელიწადი, რაც სახელმწიფო საბჭო არსებობს. ამის გამო გაზეთებში სხვა და სხვა ცნობები და დახასიათებანი დაიბეჭდა, რომელნიც შეეხებიან სახელმწიფო საბჭოს მოღვაწეობას. სხვათა შორის ფინანსთა სამინისტროს „ტორგოვო-პრომიშ. გაზეთში“ ვკითხულობთ შემდეგ საინტერესო ცნობებს:

„იმპერატორი ალექსანდრე მესამის მეფობის დროს სახელმწიფოს საბჭოს წევრთა შორის ხშირად ხდებოდა უთანხმოება სხვა და სხვა საქმეების გადაწყვეტაში. სულ 57 საქმისა გამო სახელმწიფო საბჭოს წევრნი ორად გაიყვნენ; ამათგან 38 შემთხვევაში იმპერატორმა კეთილ ინება და უმეტესობის აზრი მოიწონა და დაამტკიცა, 19 შემთხვევაში-კი—უმცირესობისა. ამასთანავე ... შემთხვევაში იმპერატორმა დაამტკიცა ... ერთი წევრის აზრი; სახელდობრ—1887 წელს პ. ს. ვანნოვსკის აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა ტაგანროგის ოლქი და როსტოვის მაზრა დონის ჯარების ოლქს შეუერთდესო და 1892 წელს—კ. პ. პობედონოსცევის აზრი იმის შესახებ, რომ ჯერ უდროო არისო ქალთა საექიმო ინსტიტუტის გახსნაო, ხანდის-ხან იმპერატორი არ ეთანხმებოდა არც უმეტესობას, არც უმცირესობას და საკუთარ გარდაწყვეტილებას ახდენდა.“

---

## გურიის ამხანაგობის „შუამავლის“ წარმომადგენელთა საგანგებო კრება

(დასასრული *)

საღამოს ექვს საათზე, ზევით მოყვანილ დადგენილების თანახმად, გაიხსნა კრება, რომელსაც დაესწრო ოცამდე წარმომადგენელი. კრებას მოხსენდა გამგეს მიერ 1900 წლის ანგარიში. ამ ანგარიშის ზოგიერთ ციფრებზე სარევიზიო კომისიის წევრებმა ეჭვი შეიტანეს. ამხანაგობის გამგემ კი გაზვიადებულად აღიარა სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილი ანგარიში, განაცხადა, რომ ის მიკერძოებით შედგენილია, სარევიზიო კომისია განძრახ ცდილა ამხანაგობის უნუგეშო ყოფის დასურათებით გამგეობის სახელის გატეხასაო და ითხოვა ანგარიში გადაეცეს მას პასუხის დასამზადებლად და მათ საშუალება მიეცეს მეორე კრებაზე თავის მართლებისა, ხოლო თუ ეს თხოვნა შეწყნარებულ არ იქნება, მისი განცხადება მაინც შეტანილი იქმნას ოქმში. კრებამ ათი ხმის უმეტესობით წინააღმდეგ ოთხისა დაადგინა: მიღებულ იქმნას სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილი ანგარიში 1900 და 1901 წ. წ. ვიდრე პირველ მაისამდე. ხოლო თვით ამხანაგობის საქმეების უფრო კარგად მოსაწყობად, წარმოების გასაძლიერებლად კრებამ საჭიროდ დაინახა ზედამხედველი კომიტეტის წევრების არჩევა და გამგეობის ზოგიერთ წევრების გამოცვლა და დაადგინა: გამგეობის ორი წევრის, სახელდობრ, დომენტი შავიშვილის და თედო კიკვაძის ნაცვლად არჩეულ იქმნეს იაკობ დათებაშვილი და ილარიონ თაყაიშვილი, რომელთაგან პირველს დაევალოს მოლარე და ბუხგალტერის მოვალეობის შესრულება, ხოლო მეორეს გამგის თანაშემწის და თითოეულ მათგანს ეძლიოს თვეში სამი თუმანი, ხოლო ზედამხედველი კომიტეტის წევრებად თ. ერმილე ნაკაშიძე, ვასილი ხუნდაძე, იაგორ ჭელიძე, სარდიონ მენაბდე და აზნაური ივანე თიკანაძე. როგორც გამგეობის დასახელებული ორი წევრი, აგრეთვე კომიტეტის წევრები უნდა დარჩნენ ამ თანამდებობაზე მხოლოდ მომავალ წლის საზოგადო კრებამდის. ამას გარდა კრებამ მიიღო სახეში გამგეობის წევრის თედო კიკვაძის განცხადება იმის შესახებ, რომ ბუხგალტერმა ინვენტარის დავთარი ხელიდან წაგლიჯა და არ მისცა ნება გასცნობოდა დავთარს, რითაც შეურაცხყოფა მიაყენა მას, როგორც გამგეობის წევრს. კრებას შემთხვევა ჰქონდა დარწმუნებულიყო, რომ ასეთი შეურაცხყოფა გამოიწვია ერთმა შეუსაბამო განკარგულებამ გამგეობისამ და დაადგინა—ბუხგალტერს ვალენტი ცინცაძეს და გამგეობის ორ წევრს ს. ჭეიშვილს და დომენტი შავიშვილს საყვედური გამოეცხადოს. ამასთანავე კრებამ დაადგინა იქნას ჩაკერებული ამხანაგობის საქმეში გამგის ს. ჭეიშვილის მიერ შემოტანილი პროტესტის ქაღალდი, რომლითაც წინააღმდეგობას აცხადებს კომისიის ზოგიერთ წევრის ანგარიშში მონაწილეობის მიღების შესახებ. ეს ქაღალდი კრებისაგან სრულიად უარყოფილ იქმნა. კრებამ შეიწყნარა სარევიზიო კომისიის წევრების მ. თუმანიშვილის, მ. ქადიეიშვილის, ს. ვაშაყმაძის, ს. ვაშალომიძის და სიმონ გრიაზნოვის თხოვნა სამსახურიდან

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 1465.

განთავისუფლების შესახებ და გადასწყვიტა ამათ მაგიერ არჩეულ იქმნეს სარევიზიო კომისიის წევრებად თ. დავით სიმონისძე გუგუნავა, ექიმი გიორგი კონსტანტინესძე ჭოლოშვილი, ექვთიმე ვასაძე, ივლიანე ჯაყელი, ნესტორ მხეიძე, კირილე წილოსანი და აზნაური ნიკო ჟორდანია და დაევალოს გამგეობას, რომ სარევიზიო კომისიას დაუყოვნებლივ მიაწოდოს ყოველგვარი ცნობები ამხანაგობის საქმეთა წარმოების შესახებ მისი მოთხოვნილებისამებრ. რადგან კრების ზოგიერთი კითხვები კვლავ დარჩა გასარჩევი, კრება გადაიდვა ამავე მაისის 10 რიცხვისათვის.

მესამე კრება მაისის 10 დღეს, ზემოთ მოყვანილი დადგენილების თანახმად, გაიმართა ისევ ბ. ა. ღლონტის თავმჯდომარეობით. განსახილველად წამოყენებული იქმნა შემდეგი კითხვები: მიიღოს თუ არა ამხანაგობამ თავის თავზე ის ხარჯები, რომელიც სარევიზიო კომისიას გაუწევია მოსაწვევ ბარათების დაბეჭვდაში და გაგზავნაში? გარდახდეს თუ არა გამგეს ის ხარჯები, რომელიც მან ამხანაგობის საშუალებისაგან საზღვარ გარეთ მოგზაურობას მოახმარა და რამდენად სასარგებლო იყო ეს მოგზაურობა ამხანაგობისათვის? როგორ იქმნას განაწილებული შრომა გამგეობის წევრთა შორის და არჩეულ იქმნას თუ არა კერძოთ ლანჩხუთში დამხმარე პირები და სად ვის მიენდოს პარკის ყიდვა, გახმობა და საჭირო მუშების მოსამსახურე პირთა მოწვევა? კრებამ დაადგინა დააკისროს გამგეობას კომისიისაგან ზემოთ ნაჩვენები ხარჯები. უზლოს გამგემ ბ. ს. ქეიშვილმა ამხანაგობას ის ხარჯები, რომელიც მისმა საღვარ გარეთ მოგზაურობამ გამოიწვია, რადგან ეს ხარჯები უკანონოდ ცნობილ იქმნა: პარკის ყიდვა, ფასების გაღაჭრა გამგეობის და კომიტეტის წევრების შეთანხმებით დუაბზუის ფარდულში, ესე იგი დუაბზუში, დაევალოს გამგეობის წევრს ილარიონ თაყაიშვილს, ოზურგეთში იაკობ დათებაშვილს, ხოლო ლანჩხუთში ამ საქმისათვის განზრახ არჩეულთ ბ. კირილე წილოსანს და მღ. ეპიფანე ჩხაიძეს. ამათი საქმე იქნება პარკის ყიდვის გარდა, პარკის გახმობის და საზოგადოთ მუშების თვალყურის დევნება, დღიური თუ თვიური მუშების მოწვევა, ყარაულების განწესება, ამათი დათხოვა, თუ საქმისათვის უვარგისნი გამოდგებიან, და საზოგადოთ ადგილობრივი წარმოების თვალ ყურის დევნება. ამ ნაირად დამთავრდა ამხანაგობის წარმომადგენელთა არა ჩვეულებრივი კრება, რომელსაც არ გაურჩევია თითქმის არც ერთი საგულისხმო კითხვა. როგორც, მაგალითად, პარკების ახალი მოსავლის ყიდვა-გაყიდვის საქმე, წილის პაის ფასის (30 მ.) შემცირების და წესდების დამტკიცების საქმე და სხვა და სხვა. ის თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ზემოხსენებულ კითხვების გადაწყვეტას ამხანაგობის კეთილდღეობისათვის, ჩვენ შემდეგ ვაცნობებთ მკითხველს.

# პროვინცია

**ახალციხე.** როგორც მოგეხსენებათ მდ. ფოცხოვი ჰყოფს ქალაქს ორ ნაწილად: ახალი ნაწილი, ანუ «ახალი ქალაქი» და ძველი ნაწილი, ანუ «ძველი ქალაქი». ახალი ნაწილი გადაჭიმულია მდინარის მარჯვენა ნაპირზე, შაბანგელის მთის ფერდობებზე და დასახლებულია უმეტეს ნაწილად სომხებით, რომელნიც გრაფ პასკევიჩის მეცადინეობით აზრუმიდან გადმოსახლდნენ, როდესაც ეს მხარე რუსეთმა დაიპყრო. ამ ნაწილის განიერი ქვა-ფენილი ქუჩები, მაღალი ქვითკირის შენობები და მათ წინ გაშლილი ამწვანებული ბაღები სწორედ რომ ქალაქსამშვენიერებს; აქვეა ოთხკლასიანი საქალაქო და სხვა სასწავლებლები, ქალაქის ბიბლიოთეკა და სხვა. ერთის სიტყვით, ეს ნაწილი ნამდვილი «ქალაქია.»

მდინარის მარცხენა ნაპირის მაღლობზე, მესხეთის მთების კალთებზე, მდებარეობს «ძველი ქალაქი» და დასახლებულია ქართველებით (მართლმადიდ. და კათოლიკენი) და ქართველ ებრაელებით; არიან აგრეთვე ბერძნები და მცირეოდენი სომხებიც. ეს ნაწილი უფრო სოფელს წააგავს, ვიდრე ქალაქს; აქ ვერც ერთს ქვა-ტკეცილ ქუჩას ვერ იპოვით, შენობება ისეთივე რიგზეა აშენებული, როგორც სოფელში, აქაური ქართველთა სასაფლაო (ქართ. მართლმადიდებლებისა და ქართველ კათოლიკებს სასაფლაოები ერთად არის) ისე ცუდ მდგომარეობაშია, რომ წვიმიან დღეში მიცვალებულის დასაფლავება თითქმის ყოვლად შეუძლებელია. აქეთკენ მომავალი საურმე გზები სრულებით გაფუჭებულია და ამიტომაც სოფლის ხალხი სულ ახალ ნაწილს აწყდება და ვაჭრობაც იქ არის. ერთი სიტყვით, მკითხველებს რომ თავი არ მოვაბეზროთ, ჩვენი ქალაქის ძველი ნაწილი ქალაქის თვით-მმართველობისაგან სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული.

აქ, ამ მხარეს, არსებობენ შემდეგი დაწესებულებანი: წიგნთ-საცავ-სამკითხველო, საკვირაო სახალხო კითხვები, მართლ-მადიდებელთა საეკკლესიო სკოლა, ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადოების საქალებო სკოლა და ქართველ კათოლიკების სკოლა, რომელიც უფრო მკვდრების დავთარში სწერია, ვიდრე ცოცხლებისაში.

სამკითხველო დაარსებულია «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» მიერ 1895 წ.; ეხლა ამ ბიბლიოთეკას თითქმის ათასზე მეტი ქართული წიგნი აქვს შეძენილი; მოგვდის ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთები და შვიდიც რუსული. რადგანაც ბიბლიოთეკა დაქირავებულ ოთახშია მოთავსებული, ამიტომ მისი გამგე ქ-ნი კოსტანცია მ—შვილი დაუცხრომლივ სცდილობს წიგნთ-საცავ-სამკითხველოსათვის საკუთარ შენობის შეძენას, რისთვისაც ხუთას მანეთამდე ფული შეაგროვეს და იმედი აქვთ კიდევ სხვა პატივცემულნი პირნიც შემწეობას აღმოუჩენენ ამ საქმეში.

საკვირაო სახალხო კითხვები გაიმართა აქაურ მართლ-მადიდებელთა მღვდლის სიმონ ჭუჭულაშვილის მეცადინეობით გასულ წლის ოქტომბერში. კითხვები სწარმოებს მართლ-მად. საეკკლესიო სკოლის ერთად-ერთ საკლასო ოთახში, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ოთახი ძალიან პატარაა და ხალხიც ორი წილი ფეხზე დგას და ისე უსმენს მკითხველებს.

მაგრამ აგერ ეს ორი თვეა, რაც აქ სახალხო კითხვა არ გამართულა. ეჰ, რას იზამ! ყველა საქმეში ჩვენებური, ქართველური გულგრილობა თუ არ გამოვიჩინეთ, არ იქნება...

საეკკლესიო სკოლამ კი დიდი ნაყოფი გამოიღო; ხალხი ბავშვებს ჯერ აქ აწყებინებს სწავლას და შემდეგ საქალაქო სასწავლებელში აბარებს სწავლის გასაგრძობად: წელს საქალ. სასწავლებელში სწავლს ათავებს 29—30 მოწაფე და მათ შორის ნახევარზე მეტი ქართველია.

საქალებო სკოლაზე არაფერს ვიტყვი, რადგანაც ბ-ნმა არავინმა «ივერიაში» ნათლად დაგვიხატა მისი მდგომარეობა.

რაც შეეხება ქართველ კათოლიკეთა სკოლას, იგი ისევ ისეთს მდგომარეობაშია, როგორც გაზ. «ცნ. ფურცლის» მკითხველებს ვაუწყეთ ამას წინად.

*  *
*

ეს ორი კვირაა, აქეთ ყოველ-დღე წვიმს მ თდის. მაისის ოთხს და ხუთს ამ წვიმებს სეტყვაც მოჰყვა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ბევრი ხანს არ გასწია. არა მგონია, რომ ასეთმა ცუდმა ამინდებმა არ დააზარალოს მოსავალი.

ქართველი კათოლიკე.

| რედაქტორი | გამომცემელი |
|---|---|
| ალ. ჭყონია. | ალ. ჯაბადარი. |

# გამოსადეგი ცნობანი

**პეტერბურგის ბირჟა 11 მაისს.**

გექსელის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 93,80 |
| ბერლინზე 100 მარკაში | 45,90 |
| პარიზზე 100 ფრანკში | 37,32 1/2 |
| ლონდონზე ჩეკები | 94,75 |
| ბერლინზე „ | 46,30 |
| პარიზზე „ | 37,62 1/2 |
| ბირჟის დისკონტი | 5 1/2,—7% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 96 1/8 გაყიდ. |
| 4 1/2% შინაგანი სესხი 1893 წ. | 100 მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა | 96 გამყიდ. |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 364 მყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 295 გაყიდ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 218 გაყიდ. |
| 3 1/2% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა | 88 3/4 მყიდვ. |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | 92 3/4 გაყიდ. |
| 4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკი 5% გირავნ. ფურცლ. | ბირჟაზე არ ყოფილან |
| 4 1/2% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა | ბირჟაზე არ ყოფილან |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ. | ბირჟაზე არ ყოფილან |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | ბირჟაზე არ ყოფილან |

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

**ა) ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) სათოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო—გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

**ტფილისიდან** ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); სათოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. (9 ს. და 16 წ.).

**ტფილისიდან** ყარსისაკენ: სათოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ტფილისიდან** ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბ) ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

**ქუთაისიდან** ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

**ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრ. მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. წ.); 2) სათოსტო მატარ. [illegible] საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) მგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

## საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, ხეივნის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. თვ., ცალკე ოთახში 60 მან. თვეში.

ქალაქის საავადმყოფო. მუხრანის ქუჩა, დი ტერ-ოსიპოვის. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოდ. საავადმყოფოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის საავადმყოფოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვის. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი ქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

ავლაბრის სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთა თვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე ბარონისა, ტიზენგაუზენისა და გუჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში დირს 12 მან. ექიმი ოსმანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.


ქართველ საადებ-მიცემო ამხანაგობის

„შუამავლის“

წლიური კრება დანიშნულია მაისის საღამოს 7 საათზე, ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის სადგომში (3—1

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

გადავიდა საკუთარ სახლში

ყორღანოვის ქუჩა, № 16.

ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 საღამოთი 6—7 ს. (10—6—4

Открыта подписка на еженедѣльный иллюстрированный политическій, литературный общественный журналъ

„АРГОНАВТЪ“

СЪ ЕЖЕДНЕВНЫМИ ПРИБАВЛЕНІЯМИ,

ИЗДАВАЕМЫЙ ВЪ Г. ТИФЛИСѢ

Подробная программа будетъ напечатана въ первомъ нумерѣ газеты, который выйдетъ 20-го мая.

*Завѣдывающіе отдѣлами:* Вейденбаумъ Е. Г,—кавказовѣдѣніе и библіографія. Иностран... иностранная политика. Іоаннисіани А. А.—экономическій и торговопромышленный. А—нъ—внутр... обозрѣніе. Потто В. А.—военная исторія. Инженеръ Раголеръ Ю. Я.—научно-техническій. Тхоржев... А. А.—литература и искусство. Хачатуровъ И. Г.—провинціальная жизнь, хроника и судебный от... Горн.-инж. Ченгеры М. И.—горно-промышленный. Бюхнеръ—художественный.

Фельетоны П. А. Опочинина.

Постоянные сотрудники: Аствацатуровъ М. П., Борманъ К. Г., Гедеоновъ А. Г., Іоаннисіани ... Иваненко В. Н., Кипшидзе А. Ф., Кипшидзе П. Ф., Кузьминъ А. И., Лейстъ Артуръ, Опочининъ ... Пахомовъ В. Н., проф. Рорбахъ, Тамамшевъ М. И., Францева В. А., кн. Черкесовъ В. Н., Чимишкіанъ ...

Постоянные корреспонденты въ Петербургѣ, Москвѣ, Одессѣ, Баку, Батумѣ, Кутаисѣ, Пятигор... Эривани и др. городахъ Кавказа, Берлинѣ и Парижѣ, а также въ Персіи и Турціи. Письма изъ Бе...на—проф. Рорбаха и изъ Парижа—Р. А. Іоаннисіани.

ЖУРНАЛЪ будетъ выходить каждое воскресенье въ размѣрѣ 16 стр. in 4, съ портретами, ... рисунками и иллюстраціями по текущимъ событіямъ.

ЕЖЕДНЕВНИКЪ будетъ выходить, не исключая понедѣльниковъ и послѣпраздничныхъ дне... форматѣ средняго газетнаго листа.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: по 1-ое января 1902 г. для городскихъ и иногородныхъ 5 руб., на 3 ... руб. и два мѣс.—2 руб.

Плата за объявленія въ еженедѣльникѣ за строку петита: на 1-й стр. 20 коп., на остальныхъ ... коп., въ ежедневникѣ: на 1-й стр. 10 к. и на остальныхъ 5 к.

Подписка принимается въ Тифлисѣ—въ редакціи и конторѣ (Головинскій, № 14), въ „Центра... книжной торговлѣ“, въ книжной торговлѣ Л. Б. Хидекеля и въ газетномъ его агентствѣ (уголъ Ба...тинской и Головинскаго проспекта) и въ Баку въ книжной торговлѣ Л. Б. Хидекеля.

Редакція и главная контора: Головинскій проспектъ, домъ Сараджева, № 14. Отдѣленіе конт... Газетное агентство Л. Б. Хидекеля (уголъ Барятинской и Головинскаго пр.).

Съ 1 іюня будетъ открытъ кабинетъ для чтенія русскихъ, туземныхъ и иностранныхъ газ... журналовъ при редакціи „Аргонавта“. Въ кабинетѣ будутъ получаться до 40 названій газетъ, журна... научныхъ изданій, романы, повѣсти и разсказы.

Кабинетъ будетъ открытъ съ утра съ правомъ безплатнаго входа подписчикамъ „Аргона... Неподписчики покупаютъ при входѣ номера ежедневнаго прибавленія.

Редакторъ-издатель *И. Ф. Тхоржевскій.*

Администраторъ *И. Г. Хачатуровъ.* 3—3


Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Мая, 1901 г.

[illegible] № 27